# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/26 „7" თებერვალი 2023 წ.

# განკარგულება

**ლ. ოთარაშვილის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^4$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და $4^1$ პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბერს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ლია ოთარაშვილი არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ხონის მუნიციპალიტეტში სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცაგერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, ქედის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლისა და შუახევის მუნიციპალიტეტში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მის.: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე